

“ქრონიკას” ესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ლადო პაპავა

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი, № 44, 2011.

– ბატონო ლადო, როგორც ვიცი, თქვენ ამ დღეებში შეხვედით ბიძინა ივანიშვილს, ახლა მითხარით გულახდილად, რა შემოგთავაზათ?

– ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, მე ბატონ ბიძინას არ ვიცნობდი, მარტო გაზეთებში გამოქვეყნებული სურათებით ვიცოდი.

– თქვენ ეკონომიკის მინისტრი იყავით რომელ წლებში?

– 1994 წლიდან 2000 წლამდე.

– როგორ, ამ პერიოდში არავითარი კონტაქტი არ გქონიათ?

– არა, არანაირი კონტაქტი არ გექონია. თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, თურმე ახალგაზრდობაში მუშაობდა მამაჩემთან ერთად. ასევე, საუბრის დროს გაირკვა, რომ მე და ბატონ ბიძინას ერთი ფაკულტეტი გვაქვს დამთავრებული, ოღონდ სხვადასხვა წლებში. თურმე ისიც შემდგომში მეცნიერების გზას დაადგა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატია, სადოქტოროც ჰქონია გამზადებული, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში მეცნიერებას თავი დაანება და ხელი მოჰკიდა ბიზნესს. გამოდის, ჩვენ არა მხოლოდ კოლეგები ვართ, არამედ უნივერსიტეტში ერთ ფაკულტეტზეც აღვიზარდეთ. ჩვენი საუბარი იყო გაცნობითი ხასიათის, გაგრძელდა 50 წუთი და დავრჩი ძალიან კმაყოფილი. სხვათა შორის, ეს იყო მოულოდნელი, ადამიანზე გაქვს სხვა წარმოდგენა, არსებობს უამრავი მითი და ამ დროს დაგხვდება ჩვეულებრივი ადამიანი, საკმაოდ განათლებული, საკმაოდ კარგი მოსაუბრე და რაც მთავარია, მისგან მოდის ძალიან დიდი ადამიანური სიტბო, კეთილგანწყობა.

– თუ საიდუმლო არ არის, კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?

– არაფერი საიდუმლო არ არის, ძალიან ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ: მან მითხრა, თუ რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა, ჩემთან პრაქტიკულად გაშალა ის თემები, რაც თავის განცხადებებში ჰქონდა უკვე გაკეთებული.

– კონკრეტულად რამე შემოგთავაზათ?

– არა, არაფერი.

– აბა, რჩევა დასჭირდა თქვენი?

– რჩევებზე იყო საუბარი, რაღაცა ჩემი ინიციატივითაც ვურჩიე, რაც მან უკვე გაითვალისწინა.

– **მაინც რა ურჩიეთ და რა გაითვალისწინა?**

– ალბათ არ ღირს ამაზე საუბარი, ეს რჩევა უკვე გაითვალისწინებულია და მიმაჩნია, რომ წვრილმანია. სხვათა შორის, ამ ეტაპზე ეკონომიკა არ ყოფილა ჩვენი საუბრის თემა, მას ჯერ სხვა ფრონტზე აქვს ყველაზე მეტი პრობლემები. ამიტომ ჩემი რჩევაც არ ეხებოდა ეკონომიკას. რაც შეეხება შემოთავაზებას, მე მაღლობელი ვარ, რომ მას პირველივე შეხვედრაზე არაფერი შემოუთავაზებია და არც არაფერი უთხოვია. ეს იყო გაცნობითი შეხვედრა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. გულწრფელად გეტყვით, მე ისეთი განცდით მივდიოდი, რაღაც წინადადება უნდა ჰქონოდა, მაგრამ როცა ეს მხოლოდ გაცნობითი საუბრით შემოიფარგლა, დავრჩი ძალიან ნასიამოვნები.

– **ბატონო ლადო, თქვენ პირად საუბარში მოუწონეთ ის, რაც გააკეთა დასაწყისში? მე ვგულისხმობ ორ წერილს, როცა ლამის მილანძღ-მოლანძღა ნახევარი საქართველო.**

– ჩვენ ვილაპარაკეთ მის განცხადებებზე, ასევე ოპოზიციის მიმართ პრეტენზიებზე, მედიასთან დაკავშირებით. მე ამ შეხვედრამდე ვთვლიდი, რომ მას ასეთი განცხადებები არ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ახლა ვუკვირდები და ძალიანაც კარგი ქნა, რომ ეს გააკეთა.

– **რატომ?**

– იმიტომ, რომ 1995 წლიდან მოყოლებული, ბატონი საკაშვილი საქართველოს გიჟობანას ეთამაშება. ამ გიჟობანით სადამდეც მივედით, მივედით, ხომ? ახლა, ვინც პოლიტიკაში დარბაისლურად მოვიდა და დალაგებულად დაუწყო მას ლაპარაკი, ჩვენ ვხედავთ, სად და როგორ მდგომარეობაში ჩააყენა. შევხედოთ, რა მდგომარეობაშია იგივე ალასანია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იგივე „რესპუბლიკელები“, ჩვენ ვიცით, რა მდგომარეობაშია ქალბატონი ბურჯანაძე... ასე რომ, თავიდანვე, შეიძლება ასეც ითქვას, ქართულ პოლიტიკაში „გიჟობანას“ თამაშით შემოვიდა ბიძინა ივანიშვილიც. კი, თავიდან მე ცოტა გავლიზიანდი და ვამბობდი, რაში სჭირდება, ამდენ ხალხს რომ იმტერებს-მეთქი? ძალიანაც კარგი, ყველას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს...

– **კი, ბატონო, თქვენ ამბობთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერს დაარქვა თავისი სახელი, მაგრამ მერე ზოგიერთ მომენტში მოუხდა უარყოფა, ცოტა გადავაჭარბეო.**

– შეიძლება პარალელი გავავლო? მე ცხოვრებაში მეორედ შევხვდი მილიარდერს, პირველი იყო ბადრი პატარკაციშვილი. მას მე შევხვდი 2002 წლის 7 იანვარს, შობა დღეს. მაშინ დაგვიძახა რამდენიმე ქართველ ეკონომისტს, რომ მომზადებულიყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამა. იგი თვლიდა, რომ ქვეყანა იყო უმძიმეს მდგომარეობაში და ასევე ჩამოყვანილი ჰყავდა რუსულენოვანი ამერიკელები, რომლებთან ერთადად ეს პროგრამა უნდა დაგვეწერა. ბოლოს სუფრაც გაიშალა... ღმერთმა აცხონოს ბატონ ბადრის სული, მაგრამ იმდენად ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენს მიმართ, რომ მეორე შეხვედრაზე, რომელიც მან გამართა ერთ-ერთი სასტუმროს დარბაზში, მე იქ აღარ წავედი. მისგან განსხვავებით, საერთოდ არ მიგრძენია რაიმე ქედმაღლური ბიძინა ივანიშვილისგან. ეს არის ჩვეულებრივი, ძალიან თბილი ადამიანი და ერთი წამითაც არ მიგრძენია, რომ მე მელაპარაკებოდა ადამიანი, რომლის უკანაც რამდენიმე მილიარდი დოლარი დევს. სინამდვილეში ის სიმდიდრის თვალსაზრისით ჩემზე და თუნფაც ერთად აღებულ ჩემნაირებზე ძალიან დიდია, მაგრამ მას ასეთი ურთიერთობა ნამდვილად არ ახასიათებს.

– მაინც რამდენი მილიარდითაა თქვენზე დიდი?

– (იცინის) მოდი, ერთად ვიცინოთ... ამ კაცმა მილიარდზე მეტი მარტო ქველმოქმედებაში დახარჯა. რომ არ დაეხარჯა, ახლა 7 მილიარდამდე ექნებოდა.

– შეხვედრები გაგრძელდება და ბოლოს რაღაცას მაინც შემოგთავაზებთ... მაინც რაზე ხართ წამსვლელი ივანიშვილთან?

– მე ნამდვილად არ ვაყენებ ასე საკითხს, რომ ვიღაცამ რაღაცა უნდა შემომთავაზოს და რაღაცას უნდა ველოდო. მე ვარ ეკონომისტი, ვარ მეცნიერი, ჩემს დარგში ექსპერტი... სხვათა შორის, გაგიმხელთ, რომ 2005 წლიდან ვარ ამჟამინდელი პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი, ხოლო იმჟამინდელი პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი ვიყავი 1993 წლიდან.

– თქვენ რა, ამჟამად სააკაშვილის მრჩეველი ხართ?

– მე ვარ სააკაშვილის ეკონომიკური საბჭოს წევრი, ოღონდ ფორმალურად. კი, ჩვენ წესით პრეზიდენტს უნდა მივცეთ რჩევები. ეს საბჭო შეიქმნა 2005 წლის იანვარში ჩემი რჩევით, პირველი შეხვედრა შედგა ამავე წლის მარტში და ეს იყო ბოლო შეხვედრა.

– ხელფასი გაქვთ?

– არა, ეს არის საზოგადოებრივ საწყისებზე, საბჭოს ორი წევრი უკვე გარდაიცვალა, თავიდან 11 კაცი ვიყავით, ახლა 9 დავრჩით.

– მერე, რატომ აკრიტიკებთ სააკაშვილს?

– (იცინის) არ ვაკრიტიკებ, მე რჩევებს ვაძლევ.

– **შეიძლება ბიძინამ გითხრათ, მიშას მრჩევლობას თავი დაანებეთ, ჩემი მრჩეველი გახდითო, მზად ხართ ამისთვის?**

– (იცინის) რას ჰქვია, თავი დაანებო? მე კი არა, თვითონ სააკაშვილმა დაგვანებოს თავი ყველას. ხვალ რომ სააკაშვილმა შეკრიბოს ეკონომიკური საბჭო და მეც დამიძახოს, ზუსტად იგივეს ვეტყვი, რასაც მედიის საშუალებით ვიძახი. აი, ამ პატარა ოთახში, სადაც ახლა თქვენ ზიხართ ჩემს წინ, მაგ სკამზე მჯდარა არაერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი.

– **ამ სკამზე, რომელზეც მე ვზივარ?**

– დიახ, მაგ სკამზე.

– **ვააა... ისტორიული სკამი ყოფილა.**

– ჰო... ყველასთან მილაპარაკია და რჩევებიც მიმიცია. მე ვარ ეკონომისტი, თავისუფალი ადამიანი და მზად ვარ, ნებისმიერს დავეხმარო, ვისაც ამ ქვეყნისთვის რაღაცის გაკეთება უნდა... მოდით, ჩემს პირად სიმპათიებს თავი დაგანებოთ, მართლაც ხომ გაჩნდა იმედი?

როდესაც მე ჩემს კოლეგებს ვკითხე, რომლებსაც დიდ პატივს ვცემ, როგორ მოგეწონათ ივანიშვილის წერილები-მეთქი და თან ვუთხარი, ასეთი თავდასხმა არ იყო საჭირო-მეთქი, მათ ამის მოსმენა არ ისურვეს. მათ იმდენად დიდი იმედი გაუჩნდათ, რომ დანარჩენს ყურადღება არ მიაქციეს. ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვარდა “გიჟობანას” თამაშით, იმას დაარტყა, ამას დაარტყა, მათ შორის ზოგს დაუმსახურებლად და დაიბნა ყველა. ხელისუფლებაც დაიბნა, მედიაც დაიბნა. მომდევნო განცხადებაში გამოჩნდა, რისთვის მოდის ეს კაცი ხელისუფლებაში და ეს მეც მითხრა, არა რევანშის ასაღებად, არამედ უკეთესი მომავლისათვის. დღეს რევანშიზმი არის დამღუპველი საქართველოსთვის.

– **რევანშიზმი კი, მაგრამ დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს.**

– ეს გაკეთდება ძალიან მარტივად, უნდა იყოს დამოუკიდებელი სასამართლო და დამნაშავეები დაისაჯონ კანონის მიხედვით.

– **თუ ივანიშვილი ყველას ყველაფერს აპატიებს, თუ ამ ხროვას უთხრა, ხელშეუხებლობის გარანტიას გაძლევთ, წადით, ბიჭებო, უცხოეთში და „იგულავეთო“, მისი გუნდი უარესს გააკეთებს.**

– ბიჭები ნებისმიერ შემთხვევაში წავლენ და „იგულავებენ“.

– არა, „იგულაონ“ ციხეში.

– გეუბნებით, მათი უმეტესობა მაინც გააღწევს აქედან ამერიკაში... ბატონო გელა, ცოტნე ბაკურიას გაგახსენებთ, ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელს. სად არის

ახლა, „გულაობს“ თუ არა ამერიკაში? თუკი ამერიკამ მიიღო ბაკურია, ამ თვალუქუნა გოგო-ბიჭებს რატომ არ მიიღებს?

– შეიძლება ამერიკამ მიიღოს, მაგრამ შენ უნდა გაუშვა?

– მე რომ ვაკვირდები სიტუაციას, მექმნება შთაბეჭდილება, შეიძლება ამათ გაასწრონ აქედან. ახლა მთავარია, იყოს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება. სასამართლოს წინაშე წარსდგება ყველა, ზოგი ციხეში ჩაჯდება, ზოგი ქონებას დააბრუნებს და ასე შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ არის არც პრეზიდენტის და არც პარლამენტის გადასაწყვეტი. ივანიშვილის მიმართ ხელისუფლების მხრიდან ბინძური კამპანია გაგრძელდება, ეს მოსალოდნელიც იყო. ასევე ძალიან ცუდ თამაშში ჩაერთო საქართველოს ეროვნული ბანკი... მე ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და მინდა, პირდაპირ მოვუწოდო ბატონ გიორგი ქადაგიძეს, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, ის ჩემი სტუდენტი გახლდათ. ვიცნობ, როგორც ამბიციურ და ნიჭიერ პიროვნებად, მე მას ვურჩევ, პირველ რიგში იზრუნოს თავის თავზე, თავის რეპუტაციაზე.

– ანუ წავიდეს თანამდებობიდან?

– შეასრულოს ეროვნული ბანკის კანონი. ის არის დამტკიცებული 7 წლით, ეს არ გახლავთ პოლიტიკური თანამდებობა, ქვეყნის პრეზიდენტი შეიცვლება, პარლამენტი თუ პრემიერ-მინისტრი, ის კი კანონით მაინც რჩება. გიორგის ვადა აქვს 2017 წლამდე და ვაღდებულობ, ასეთ ავანტიურებში არ მიიღოს მონაწილეობა...

გელა ზედელაშვილი